თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომის

ოქმი № 6

ქ. თერჯოლა 28 აპრილი 2026 წელი

სხდომას უძღვებოდა: კომისიის თავმჯდომარე ბადრი ბუცხრიკიძე

სხდომას ესწრებოდნენ: 1. ბადრი ბუცხრიკიძე, 2. ბიძინა ბუცხრიკიძე, 3. სერგი ჯიხვაშვილი, 4. შალვა ჭანკვეტაძე, 5. გოჩა ვერულაშვილი, 6. ლაშა გურგენიძე, 7. ნოდარი ხოხიაშვილი, 8. გიორგი ბერეკაშვილი, 9. ზურაბ ჩხიკვაძე, 10. სოსო ჩაფიჩაძე, 11. მირზა აფრიდონიძე.

სხდომას არ ესწრებოდნენ: 1. იუზა უგრეხელიძე.

კომისიის შემადგენლობა: 12 წევრი
დამსწრე წევრთა რაოდენობა: 11
კვორუმი: 6 წევრი

დღის წესრიგი:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტში სტიქიის საპრევენციო ღონისძიების ფარგლებში საპროექტო წინადადებების მოწონებისა და სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282611413, 24.04.2026 წ).

/მომხს.ბ.ბუცხრიკიძე/

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 11 , წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბადრი ბუცხრიკიძემ კომისიის წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტში სტიქიის საპრევენციო ღონისძიების ფარგლებში საპროექტო წინადადებების მოწონებისა და სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი - საქართველოს მთავრობის 2026 წლის 02 მარტის N96 დადგენილების საფუძველზე, სტიქიის საპრევენციო ღონისძიებების ფარგლებში დაგეგმილი აქვს სოფ. გოგნში ტყიბულთან

დამაკავშირებელ საავტომობილო გზაზე ნაპირსამაგრის სამუშაოების ჩატარება, რისთვისაც საჭიროა აღნიშნული საპროექტო წინადადების თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცება შემდგომში საკონსულტაციო საბჭოზე მოწონებისა და საპრევენციო სამუშაოების განხორციელებისათვის საჭირო დაფინანსების მოპოვების მიზნით.

1. **სტიქიის პრევენციის ფარგლებში სოფ. გოგნში ტყიბულთან დამაკავშირებელ საავტომობილო გზაზე ნაპირსამაგრი სამუშაოების ჩატარება.**

სოფ. გოგნში ტყიბულთან დამაკავშირებელ საავტომობილო გზაზე მეწყრული პროცესის შედეგად დაზიანდა საავტომობილო გზის სავალი ნაწილი, საფრთხე ექმნება ასევე საავტომობილო გზის მიმდებარედ მცხოვრებ მოსახლეს, საჭიროა ნაპირდამცავი სამუშაოების ჩატარება, რომლის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 250000 ლარს.

აზრი გამოთქვეს: კომისიის ყველა წევრმა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 11 წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: განსახილველად გავიდეს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე საკითხი თერჯოლის მუნიციპალიტეტში სტიქიის საპრევენციო ღონისძიების ფარგლებში საპროექტო წინადადებების მოწონებისა და სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ.

კომისიის თავმჯდომარე

ბადრი ბუცხრიკიძე